იოლ გამარჯვებებს ნუ დაველოდებით

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 31 მარტი.

“დინამო” (თბილისი) – “ფაკელი” (ვორონეჟი) 0:0.

“დინამო”: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, არზიანი, კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, მახარაძე, შენგელია, ჩქარეული.

“ფაკელი”: მეროვშჩიკოვი, ლოსევი, სავჩენკოვი, არაისი, მხითარიანი, ოსიპოვი, სოკოლოვი, მინაევი, სოშენკო, მურაშკინცევი, როჟინი.

46–ე წთ. მახარაძის ნაცვლად – მესხი, 72–ე წთ. არაისის ნაცვლად – ფროლოვი, 83–ე წთ. როჟინის ნაცვლად – რემეზოვი.

მსაჯი: კირილ დორონინი (მოსკოვი).

კარში დარტყმა – 17:6 (5:2), ზუსტი დარტყმა 4:4 (2:1), საჯარიმო მოედნიდან 11:3 (3:0).

კუთხური – 6:4 (3:2).

დაჯარიმდნენ: თბილისელები 6 (4), ვორონეჟელები – 15 (8).

ჩემპიონატის პირველი სამი მატჩი შესანიშნავად ითამაშა თბილისის “დინამომ” და, ბუნებრივია, ფეხბურთის მოყვარულები “ფაკელთან” მხოლოდ გამარჯვებას ვარაუდობდნენ. ასეთი განწყობითაც მოვიდნენ სტადიონზე. სამწუხაროდ, ზუსტად ასეთივე განწყობით ემზადებოდნენ მატჩისთვის თბილისელი ფეხბურთელები, ყოველ შემთხვევაში, პირველი ტაიმის მიხედვით მხოლოდ ამგვარი დასკვნის გაკეთება შეიძლება. დასანანი კია, რადგან სპორტში ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდები ასეთ სიტუაციას: იოლ გამარჯვებაში დარწმუნებული გუნდი მეტისმეტად მშვიდად, შეიძლება ითქვას მეტისმეტად აკადემიურადაც იწყებს თამაშს და, რა თქმა უნდა, შედეგსაც ვერ აღწევს. მერე და მერე კი, რაც დრო გადის, უფრო სწორად, რაც უფრო ცოტა დრო რჩება, ფხიზლდება კიდეც, ორმაგ ენერგიასაც ხარჯავს, მაგრამ სიჩქარესა და ნერვიულობაში აღარ ხერხდება ის, რაც თავის დროზე, მატჩის დაწყებიდანვე უნდა გაკეთებულიყო.

ამგვარი მაგალითები მეტად ხშირია ფეხბურთში და თვითონ ფეხბურთელებსაც კარგად უნდა ხსომებოდათ თუნდაც შარშანდელი რამდენიმე მატჩი.

ვორონეჟის “ფაკელმა” საკმაოდ კარგად ითამაშა ეს მატჩი, განსაკუთრებით კი – მეორე ტაიმი, როცა მასპინძლები გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ. თუმცა ესეც “დინამოს” ბრალია: სტუმრებს ერთობ წყნარი პირველი ორმოცდახუთი წუთის შემდეგ სავსებით საკმარისი ენერგია დარჩათ საიმისოდ, რომ თბილისელთა იერიშებს გამკლავებოდნენ.

თამაში, როგორც უკვე ვთქვით, ნელი ტემპით დაიწყო, მაგრამ მასპინძლებმა ტექნიკური უპირატესობის ხარჯზე მაინც შეძლეს რამდენიმე კარგი კომბინაციის გათამაშება. იყო საგოლე სიტუაციებიც. თუნდაც მე–10 წუთზე, კეტაშვილის ფლანგური შეტევისა და ჩაწოდების შემდეგ. და მაინც, ყველაზე უფრო დასახსომებელი 35–ე წუთი იყო. ჩივაძის მიერ დაწყებული კომბინაცია მშვენივრად გააგრძელეს სვანაძემ და კაკილაშვილმა, ბოლოს კი ისევ ჩივაძემ დაასრულა შეტევა.

დაიწყო მეორე ტაიმი და “ფაკელის” კართან ზედიზედ შეიქმნა საგოლე სიტუაციები. მარტო პირველი თხუთმეტი წუთის მანძილზე თბილისელებს ექვსჯერ მაინც შეეძლოთ დაწინაურება – კეტაშვილის, ჩივაძის, სულაქველიძის, შენგელიას და მესხის დამამთავრებელი დარტყმები უზუსტო იყო. თითქმის “უსაქმოდ” იდგა მთელი ტაიმი გაბელია, მაგრამ ორჯერ – 52–ე და 85–ე წუთებზე, მხითარიანისა (№5)

და მურაშკინცევის (№10) დარტყმების შემდეგ დინამოელთა მეკარემ მართლაც ბრწყინვალედ ითამაშა.

იერიშები გაგრძელდა. ჩივაძისა და ჩქარეულის ერთობ სახიფათო იერიშებს, ალბათ გოლი უნდა მოჰყოლოდა, ალბათ შესაძლებელი იყო ამ, მეოთხე მატჩის მოგებაც, მაგრამ თუნდაც ის ფაქტი, რომ მეკარე მეროვშჩიკოვს ერთხელაც არ აუღია ძნელი ბურთი, ნათლად მეტყველებს სხვაზეც: "დინამოს" შეტევებში მთლად ყველაფერი ვერ იყო რიგზე. ერთობ სუსტად ითამაშა მთელი მატჩი მასპინძელთა ნახევარდაცვამ (საუბარია ეგრეთ წოდებულ შტატიან ნახევარმცველებზე). მართალია, მეორე ტაიმში ეს ხარვეზი ასე თუ ისე შეავსეს ჩივაძემ და ნაწილობრივ სულაქველიძემაც, მაგრამ ეს მაინც ექსტრემალური პირობებისთვის მოხმობილი ტაქტიკური სვლა იყო, რასაც გუნდი, ცხადია, წამდაუწუმ ვერ მიმართავს.

კიდევ ერთი: დღევანდელ ფეხბურთში სამი ფორვარდით თამაში საკმაოდ დიდი ფუფუნებაა, მაგრამ, თუ გუნდი მაინც მიმართავს ასეთ სქემას, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ თავდამსხმელებს არ ევალებათ მინდვრის ცენტრისთვის და დაკარგული ბურთის დაბრუნებისთვის ბრძოლა, ერთი სიტყვით – ნახევარმცველთა დახმარება. ფეხბურთში ჩემი და შენი ადგილი არ არსებობს; როცა სიტუაცია მოითხოვს, შესაძლოა უსიამო, მაგრამ გუნდისთვის სასარგებლო საქმე უთუოდ უნდა აკეთო.

რა თქმა უნდა, ქულის დაკარგვა ამოდენა ჩემპიონატში თავისთვად არაფერს ნიშნავს, მაგრამ, თუ თბილისელებს გადაწყვეტილი აქვთ საპრიზო ადგილებისთვის ევროპის საკლუბო ტურნირების ერთ–ერთი საგზურისთვის ბრძოლა, და ალბათ ასეც არის, ფეხბურთელები აქედანვე უნდა შეეჩვიონ აზრს, რომ ჩემპიონატის ვერც ერთ მატჩში ვერ მისცემენ თავს დასვენებისა და მოდუნების უფლებას. გასაგებია, რომ ძალზე ძნელია ცხრა თვის განმავლობაში ასე თამაში, მაგრამ გამარჯვებისთვის სხვაგვარი, უეკლო გზა ნამდვილად არ არსებობს.

ირაკლი ბერიაშვილი.

ინტერვიუ მატჩის შემდეგ

დავით ყიფიანი, თბილისის "დინამოს" უფროსი მწვრთნელი: "ჩვენი გუნდისთვის საკუთარ მოედანზე ქულის დაკარგვა (სულერთია, რომელ მეტოქესთან), მუდამ წარუმატებლობად ითვლებოდა. ამიტომ, ცხადია, უკმაყოფილო ვარ თამაშის შედეგით. მით უმეტეს, რომ მასპინძლებს გოლის გატანის არაერთი შესაძლებლობა ჰქონდათ. სამწუხაროდ, გვაკლია ისეთი ფეხბურთელები, რომელთაც შეუძლიათ საშუალო და შორი მანძილიდან ზუსტი დარტყმით თამაშის ბედი გადაწყვიტონ. "ფაკელმა" ჩვენს წინააღმდეგ მჭიდრო დაცვა აირჩია. მის დასაძლევად აუცილებელი იყო განუწყვეტელი მოძრაობა, ბურთის სწრაფი გადაცემა, დინამოელებმა კი ეს ვერ მოახერხეს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ "ფაკელი" არ არის ტიპიური დებიუტანტი, რომელიც წინასწარვე განწირულია უმაღლესი ლიგის დასატოვებლად. დარწმუნებული ვარ, ეს გუნდი წლეულს კიდევ ბევრ მეტოქეს გაამწარებს. ჩვენი ვალია გულდასმით გავაანალიზოთ დღევანდელი შეცდომები და მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ ყოველ მომდევნო კალენდარულ მატჩს".

ვიქტორ მარიენკო, ვორონეჟის "ფაკელის" უფროსი მწვრთნელი: "დღევანდელი შეხვედრა "ფაკელისთვის" მეხუთე იყო მიმდინარე ჩემპიონატში, მაგრამ ამასთან ეს გახლდათ პირველი მატჩი, რომელიც ნორმალურ პირობებში ვითამაშეთ. მანამდე სტუმრად ორი შეხვედრა გავმართეთ და ორივე – ხელოვნურსაფარიან დარბაზებში,

ხელოვნურ “ზალახზე” თამაში კი ჩემი აზრით, ფეხბურთის დაცინვაა და მეტი არაფერი. რა თქმა უნდა, გვახარებს თბილისში მოპოვებული ქულა. ??????????????????

“ლელო”, 2 აპრილი, 1985 წ.